

განმარტებითი ბარათი

საქართველოს ორგანული კანონის პროექტზე

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

ა.ა.ა) პრობლემა, რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს კანონპროექტი:

2020 წლის 17 სექტემბერს, ევროპის საბჭოს ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებათა შემფასებელ რჩეულ ექსპერტთა კომიტეტმა (Moneyval) საქართველოს მეხუთე რაუნდის შეფასების ანგარიში¹ დაამტკიცა. ანგარიში მიმოიხილავს ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის (AML/CFT) ღონისძიებებს საქართველოში და აფასებს ქვეყნის სამართლებრივი და ინსტიტუციური ჩარჩოს ტექნიკურ შესაბამისობას ფინანსური ქმედების სპეციალური ჯგუფის (FATF) 40 რეკომენდაციასთან,² ასევე, ქვეყნის ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის სისტემის ეფექტურობის დონეს.

ფინანსური ქმედების სპეციალური ჯგუფის (FATF) მე-15 რეკომენდაციის (*Recommendation 15 - New Technologies*) და ამავე რეკომენდაციის განმარტებითი კომენტარის (*Interpretive Note to Recommendation 15*) მიხედვით, ვირტუალურ აქტივებთან დაკავშირებული რისკების მართვის მიზნით, სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერების ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის კუთხით რეგულირება/ზედამხედველობა, მათი ლიცენზირება/რეგისტრაცია, მნიშვნელოვანი წილის მფლობელების/ბენეფიციარი მესაკუთრეების/ხელმძღვანელი პირების შესაფერისობის კრიტერიუმების შემოწმება, ეფექტური მონიტორინგი და ფინანსური ქმედების სპეციალური ჯგუფის (FATF) რეკომენდაციებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობა. განმარტებით კომენტარში ხაზგასმულია, რომ სახელმწიფოებმა უნდა მოახდინონ სულ მცირე ადგილობრივად დაფუძნებული ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერის ლიცენზირება/რეგისტრაცია. ასევე, მითითებულია, რომ ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერის ზედამხედველობა და მონიტორინგი რისკზე დამყარებული მიდგომით უნდა განახორციელოს კომპეტენტურმა სახელმწიფო ორგანომ, რომელსაც ამ

¹ ევროპის საბჭოს ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებათა შემფასებელ რჩეულ ექსპერტთა კომიტეტის (Moneyval) საქართველოს მეხუთე რაუნდის შეფასების ანგარიში - <https://rm.coe.int/moneyval-2020-20-5th-round-mer-georgia/1680a03271>

² ფულის გათეთრების წინააღმდეგ ფინანსურ ქმედებათა სპეციალური ჯგუფის (FATF) რეკომენდაციები - <https://www.fatf-gafi.org/media/fatf/documents/recommendations/pdfs/FATF%20Recommendations%202012.pdf>

მიზნით უნდა გააჩნდეს შესაბამისი უფლებამოსილებები, მათ შორის, შემოწმების განხორციელების, ინფორმაციის გამოთხოვისა და სანქციების დაკისრების კუთხით (მათ შორის, ლიცენზირების/რეგისტრაციის გაუქმების უფლებამოსილება).

ევროპის საბჭოს ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებათა შემფასებელ რჩეულ ექსპერტთა კომიტეტის (Moneyval) ანგარიშში ქვეყნის ერთ-ერთ მთავარ შეუსაბამობად ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერის რეგულირებისა და ზედამხედველობის ჩარჩოს არარსებობა გამოვლინდა და შესაბამისად, ამ კუთხით გასატარებელი ღონისძიებები პრიორიტეტულად იქნა მიჩნეული. აღნიშნული საკითხის მოწესრიგებაზე ასევე გამახვილდება ყურადღება ევროპის საბჭოს ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებათა შემფასებელ რჩეულ ექსპერტთა კომიტეტის (Moneyval) შემდეგი შემოწმებების ფარგლებში, რომლის დროსაც შემოწმდება ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერის რეგულირების/ზედამხედველობის კუთხით, ქვეყნის მიერ გატარებული ღონისძიებები.

ყოველივე ზემოაღნიშნულის და იმის გათვალისწინებით, რომ ვირტუალურ აქტივებთან დაკავშირებული მომსახურება, მისი ბუნებიდან გამომდინარე (ანონიმურობის მაღალი ხარისხი, ტრანზაქციების სისწრაფე, ტრანზაქციების მიკვლევის სირთულე და სხვ.), ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების მომეტებულ რისკებთან არის დაკავშირებული და მათი მომსახურების გამოყენება შეიძლება ხელსაყრელი იყოს დანაშაულებრივი საქმიანობისთვის, მნიშვნელოვანია, რომ ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერები მოექცნენ რეგულირებისა და ზედამხედველობის ჩარჩოში. აქედან გამომდინარე, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერების რეგულირების/ზედამხედველობის სამართლებრივი ჩარჩოს შექმნის თაობაზე, რომელიც შესაბამისობაში იქნება ფინანსური ქმედების სპეციალური ჯგუფის (FATF) რეკომენდაციებთან და სახელმძღვანელოსთან.³

კანონპროექტით განსაზღვრული რეგულირების ჩარჩო პირველ ეტაპზე ითვალისწინებს ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერების ზედამხედველობას შემდეგი მიმართულებებით: საქართველოს ეროვნულ ბანკში სავალდებულო რეგისტრაცია, ადმინისტრატორთა შესაფერისობის კრიტერიუმების შემოწმება და ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის კუთხით ზედამხედველობა. აღნიშნული უზრუნველყოფს ვირტუალური აქტივების მომსახურებასთან დაკავშირებული ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების მომეტებული რისკების დროულ მართვას, ასევე, ევროპის საბჭოს ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებათა შემფასებელ რჩეულ ექსპერტთა კომიტეტის (Moneyval) მიერ იდენტიფიცირებული ნაკლოვანების აღმოფხვრას.

ა.ა.ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად კანონის მიღების აუცილებლობა:

³ FATF-ის სახელმძღვანელო „ვირტუალური აქტივები და ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერები“, 2021 წლის ოქტომბერი - <https://www.fatf-gafi.org/media/fatf/documents/recommendations/Updated-Guidance-VA-VASP.pdf>

ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერის რეგულირებისა და ზედამხედველობისთვის აუცილებელია „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების განხორციელება, რომლითაც განისაზღვრება ვირტუალური აქტივისა და ვირტუალური აქტივით განხორციელებული მომსახურების სახეები, რომლებიც მოექცევა საქართველოს ეროვნული ბანკის რეგულირების ფარგლებში. ასევე, მნიშვნელოვანია, განისაზღვროს საქართველოს ეროვნული ბანკის საზედამხედველო მანდატი ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერების რეგულირების კუთხით, მათ შორის, შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მიღების, საზედამხედველო ზომების გამოყენებისა და სანქციის დაკისრების საფუძვლები.

ა.ბ) კანონპროექტის მოსალოდნელი შედეგები:

კანონპროექტის მიღებით, საქართველოს ეროვნულ ბანკს მიეცემა შესაძლებლობა ეფექტურად და შეუფერხებლად განახორციელოს ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერების ზედამხედველობა ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის მიმართულებით. აღნიშნული ხელს შეუწყობს ვირტუალური აქტივის მომსახურებიდან გამომდინარე ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსებასთან დაკავშირებული რისკების მართვას, რაც თავის მხრივ გაზრდის ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერების საქმიანობის გამჭვირვალობასა და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობას. ამასთან, კანონპროექტის მიღებით, საქართველო შესაბამისობაში მოვა ფინანსური ქმედების სპეციალური ჯგუფის (FATF) რეკომენდაციების მოთხოვნებთან და აღმოიფხვრება ევროპის საბჭოს ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებათა შემფასებელ რჩეულ ექსპერტთა კომიტეტის (Moneyval) მიერ იდენტიფიცირებული ნაკლოვანებები.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტით განისაზღვრება ვირტუალური აქტივის, მათ შორის, კონვერტირებადი ვირტუალური აქტივის, ვირტუალური აქტივის მომსახურებისა და ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერის ცნებები. კანონპროექტის მიხედვით, საქართველოს ეროვნული ბანკის რეგულირებაში ექცევა მხოლოდ კონვერტირებადი ვირტუალური აქტივი, რაც გამორიცხავს ისეთი ვირტუალური აქტივების რეგულირებას, რომლებიც არ წარმოადგენს გადაცემის ან გადაცვლის საგანს და არ გამოიყენება გადახდის ან/და ინვესტირების მიზნებისთვის. ასეთია, მაგ: ერთგულების პროგრამის ქულები, გეიმინგის ქულები და სხვა, რომელთა გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ დახურულ სივრცეში. ვირტუალური აქტივის ცნება ასევე გამორიცხავს ე.წ. არა-ჩანაცვლებადი ტოკენის (Non-Fungible Token) რეგულირებას, რომელიც არის უნიკალური, არ არის ჩანაცვლებადი და აქვს საკოლექციო ბუნება (collectibles).

კანონპროექტი განსაზღვრავს ვირტუალური აქტივის მომსახურებაში შემავალი საქმიანობის ამომწურავ ჩამონათვალს, რომლის ცალ-ცალკე ან ერთობლივად

განხორციელების უფლებამოსილება ენიჭება ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერს და რომლებიც ექცევა საქართველოს ეროვნული ბანკის რეგულირების სფეროში. აღნიშნული საქმიანობებია: კონვერტირებადი ვირტუალური აქტივის გადაცემა, გადაცემა, კონვერტირებადი ვირტუალური აქტივის ან მისი გამოყენებისთვის საჭირო ინსტრუმენტის შენახვა/ადმინისტრირება, კონვერტირებადი ვირტუალური აქტივებისგან შემდგარი პორტფელის მართვა, კონვერტირებადი ვირტუალური აქტივების სავაჭრო პლატფორმის ადმინისტრირება, კონვერტირებადი ვირტუალური აქტივის სესხად გაცემა ან/და პირველადი შეთავაზება ან/და პირველად შეთავაზებასთან დაკავშირებული მომსახურება. უნდა აღინიშნოს, რომ ვირტუალური აქტივის გადაცემაში მოიაზრება ერთი საფულიდან მეორე საფულეზე ვირტუალური აქტივის გადატანა, ვირტუალური აქტივის შენახვა/ადმინისტრირება კი გულისხმობს ვირტუალურ აქტივზე კასტოდირებადი მომსახურების გაწევას. რაც შეეხება პორტფელის მართვას, მოიაზრება ისეთი პორტფელი, რომელიც შედგება მხოლოდ ვირტუალური აქტივებისგან; ამასთან, გამოირიცხება კოლექტიური პორტფელის მართვა, რომელიც აქტივების მმართველი კომპანიის საქმიანობას წარმოადგენს. კანონპროექტის მიხედვით, ვირტუალური აქტივის მომსახურება სახეზეა მაშინ, როდესაც იგი ხორციელდება სხვა პირის სასარგებლოდ. აღნიშნული გამორიცხავს საკუთარი თავის სასარგებლოდ ვირტუალური აქტივით განხორციელებული ტრანზაქციების, აგრეთვე, ე.წ. „მინინგის“ რეგულირებას.

კანონპროექტს ემატება 39¹ მუხლი, რომელიც ადგენს, რომ ვირტუალური აქტივი არ არის გადახდის კანონიერი საშუალება, რაც თანხვედრაშია ქვეყნის მონეტარულ პოლიტიკასთან, რომლის მიხედვით, გადახდის ერთადერთ კანონიერ საშუალებას წარმოადგენს ლარი. საქართველოს ეროვნულ ბანკს ენიჭება უფლებამოსილება სამართლებრივი აქტით განსაზღვროს ის გამონაკლისი შემთხვევები, რომელთა არსებობისას, დასაშვებია იქნება ვირტუალური აქტივით გადახდების განხორციელება.

კანონპროექტით ცვლილება შედის ორგანული კანონის 48-ე მუხლის პირველ პუნქტში, რომლითაც საქართველოს ეროვნულ ბანკს ენიჭება უფლებამოსილება ზედამხედველობა გაუწიოს ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერების საქმიანობას. ცვლილება ხორციელდება ამავე მუხლის 4¹-4³ პუნქტებში, რომლითაც საქართველოს ეროვნული ბანკის არსებული საზედამხედველო უფლებამოსილებები გავრცელდება ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერზეც, რაც მოიცავს კაპიტალის წარმოშობის წყაროების, მფლობელობის სტრუქტურის, მნიშვნელოვანი წილის უშუალო მესაკუთრეებისა და ბენეფიციარი მესაკუთრეების შესახებ ინფორმაციის მიღებას, გარკვეული ოპერაციების შეწყვეტის, შეზღუდვის, სანქციების გამოყენების უფლებამოსილებას ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერისა და მისი ადმინისტრატორის მიმართ, ასევე, რეგისტრაციის გაუქმებას.

კანონპროექტს ემატება 52⁵ მუხლი, რომელიც განსაზღვრავს ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერის მიმართ საქართველოს ეროვნული ბანკის საზედამხედველო მანდატის ფარგლებს, რაც მოიცავს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერის რეგისტრაციას და რეგისტრაციის გაუქმებას, ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერის ადმინისტრატორთა შესაფერისობის

კრიტერიუმების დადგენას და ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის მიზნით შემოწმებას, რეგულირებას და შესაბამისი სამართლებრივი აქტების მიღებას. აღნიშნული მუხლი კრძალავს ვირტუალური აქტივის მომსახურების განხორციელებას იმ პირის მიერ, რომელიც არ არის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ რეგისტრირებული ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერი ან საფინანსო სექტორის წარმომადგენელი, რომელსაც საქმიანობის მარეგულირებელი კანონმდებლობით მინიჭებული აქვს ვირტუალური აქტივის მომსახურების განხორციელების უფლებამოსილება. შესაბამისად, ვირტუალური აქტივის მომსახურების უფლებამოსილება ენიჭება არა მარტო საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ რეგისტრირებულ ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერს, ასევე, საფინანსო სექტორის ცალკეულ წარმომადგენლებსაც. ამ უკანასკნელთა მიერ ვირტუალური აქტივის მომსახურების გაწევის უფლებამოსილება გათვალისწინებულია საკანონმდებლო პაკეტში შემავალი სხვა კანონპროექტებით. კანონპროექტით გათვალისწინებული ორგანული კანონის 52⁵ მუხლი ასევე კრძალავს ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერის მიერ ვირტუალური აქტივის მომსახურების და ამ მომსახურების გაწევისთვის აუცილებელი დამხმარე საქმიანობის გარდა, სხვა საქმიანობის განხორციელებას. გამონაკლისს წარმოადგენს ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერის მიერ საკუთარი ვირტუალური აქტივის გადაცვლა. მოცემული მუხლი საქართველოს ეროვნულ ბანკს უფლებამოსილებას ანიჭებს, ზედამხედველობის განხორციელების ფარგლებში, ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერს, აგრეთვე საფინანსო სექტორის წარმომადგენელს, რომელსაც საქმიანობის მარეგულირებელი კანონმდებლობით მინიჭებული აქვს ვირტუალური აქტივის მომსახურების განხორციელების უფლებამოსილება, ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების რისკების გათვალისწინებით შეუწყვიტოს ან შეუზღუდოს გარკვეული ტიპის საქმიანობის/ოპერაციების განხორციელება (მათ შორის, ვირტუალური აქტივების სახეების მიხედვით), აგრეთვე, სხვა ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერთან საქმიანი ურთიერთობა.

კანონპროექტით გათვალისწინებულია გარდამავალი დებულება, რომლის მიხედვით, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა შესაბამისი სამართლებრივი აქტების გამოცემა უნდა უზრუნველყოს კანონის ამოქმედებიდან 6 თვის ვადაში - 2023 წლის 1 ივლისამდე, ხოლო ვირტუალური აქტივის გადაცემისას თანხმლები ინფორმაციის განსაზღვრის წესის შესახებ სამართლებრივი აქტის გამოცემისათვის დადგენილია 12 თვიანი პერიოდი - 2024 წლის 1 იანვრამდე. აღნიშნული განპირობებულია იმ გარემოებით, რომ ამ ეტაპზე ბაზარზე არ არსებობს უნიკალური ტექნიკური გადაწყვეტა, რომლითაც შესაძლებელი იქნება ვირტუალური აქტივის გადაცემისას თანხმლები ინფორმაციის გაყოლება და მიღება.

ა.დ) კანონპროექტის კავშირი სამთავრობო პროგრამასთან და შესაბამის სფეროში არსებულ სამოქმედო გეგმასთან, ასეთის არსებობის შემთხვევაში (საქართველოს მთავრობის მიერ ინიცირებული კანონპროექტის შემთხვევაში):

ასეთი არ არსებობს.

ა.ე) კანონპროექტის ძალაში შესვლის თარიღის შერჩევის პრინციპი, ხოლო კანონისთვის უკუძალის მინიჭების შემთხვევაში - აღნიშნულის თაობაზე შესაბამისი დასაბუთება:

გამომდინარე იქედან, რომ კანონპროექტით შემოთავაზებული ცვლილებებით იქმნება რეგულირების სრულიად ახალი სამართლებრივი ჩარჩო, რომელთან შესაბამისობაში მოსვლისთვის სექტორისთვის ჩნდება ახალი საჭიროებები, რაც თავისმხრივ გარკვეულ დროს მოითხოვს, კანონის ამოქმედება გათვალისწინებულია 2023 წლის 1 იანვრიდან.

ამასთან, კანონპროექტით უკუძალა გათვალისწინებული არ არის.

ა.ვ) კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვის მიზეზები და შესაბამისი დასაბუთება (თუ ინიციატორი ითხოვს კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვას):

კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვის მოთხოვნა განპირობებულია ერთიანი ევრო გადახდის სივრცეში (SEPA) საქართველოს გაწევრიანებისათვის საჭირო კრიტერიუმის დროულად შესრულების აუცილებლობით.

SEPA ევროპული ინიციატივაა, რომელიც ევროში უნაღდო გადახდების პროცესის ჰარმონიზაციას ახდენს და მრავალი უპირატესობა გააჩნია. საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის სხდომაზე, 2022 წლის 29 აპრილს, კომიტეტმა დაამტკიცა რეკომენდაციები „ერთიანი ევრო გადახდის სივრცეში (SEPA) საქართველოს გაწევრებისთვის გადასადგმელი ნაბიჯების თაობაზე“. როგორც ამ დოკუმენტშია აღნიშნული, SEPA-ში გაწევრება საქართველოსთვის ევროპის ერთიან ეკონომიკურ სივრცეში ინტეგრაციის გზაზე მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება. საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის მიზნების გათვალისწინებით, ევროკავშირის სტრუქტურებში ინტეგრაციის არსებული შესაძლებლობები საქართველომ მაქსიმალურად სწრაფად და ეფექტიანად უნდა გამოიყენოს.

აღსანიშნავია, რომ ხსენებული რეკომენდაციების შემუშავებას წინ უძღოდა კომიტეტის 2021 წლის 26 მარტის გადაწყვეტილების საფუძველზე შექმნილი სამუშაო ჯგუფის საქმიანობა. მასში მონაწილეობდა საქართველოს პარლამენტის წევრები, შესაბამისი უწყებები და კომერციული ბანკები. სამუშაო ჯგუფმა ევროკავშირის პროექტის („ასოცირების შეთანხმების მხარდაჭერა“) დახმარებით, შეისწავლა, თუ რა შედეგები ექნება უახლოეს მომავალში SEPA-ში საქართველოს წევრობას, რამდენად ქმნის და აკმაყოფილებს საქართველოს მიერ ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესში უკვე მიღწეული პროგრესი ამ სივრცეში გაწევრების წინაპირობებს და რა შემდგომი ნაბიჯები უნდა გადაიდგას ქვეყნის მიერ.

ზემოაღნიშნული კვლევის თანახმად, SEPA-ში გაწევრიანება სარგებლის მომტანი იქნება მრავალი მიმართულებით: მეტ სანდოობას შესძენს საქართველოს საბანკო სექტორს საერთაშორისო არენაზე, გაამარტივებს ევროპის ეკონომიკურ სივრცესთან სავაჭრო ურთიერთობებს, გამარტივებული მომსახურებით ისარგებლებენ საქართველოს მოქალაქეები, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, მათ შორის, ევროკავშირის ქვეყნებიდან ფულადი გზავნილების მზარდი ტენდენციის გათვალისწინებით.

საქართველო დიდწილად უკვე აკმაყოფილებს SEPA-ში გაწევრიანების კრიტერიუმებს და ამასთან, საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების იმპლემენტაციის პროცესში საქართველოს მიერ მიღწეული პროგრესის გათვალისწინებით, საჭირო სამართლებრივი წინაპირობების დასაკმაყოფილებლად მნიშვნელოვანი სამუშაოა შესრულებული. სწორედ ამიტომ, საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტმა მიზანშეწონილად მიიჩნია (2022 წლის 29 აპრილის რეკომენდაცია N2-5685/22) დაუყოვნებლივ დაწყებულიყო საქართველოს SEPA-ში გაწევრიანებისთვის საჭირო ნაბიჯების გადადგმა.

ვინაიდან გაწევრიანების ერთ-ერთ კრიტერიუმს წარმოადგენს ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის მიმართულებით ევროკავშირის ფუნქციურად ეკვივალენტური რეგულირების ქონა, რაც თავის მხრივ, მოიცავს ვირტუალური აქტივების მარეგულირებელი ჩარჩოს არსებობას და ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერებზე ზედამხედველობის განხორციელებას და საქართველო გეგმავს შესაბამისი განაცხადის/აპლიკაციის წარდგენას უახლოესი კვირების განმავლობაში, აუცილებელია წინამდებარე კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვა. აპლიკაციის წარდგენის პროცესის დაჩქარება, თავის მხრივ, გამოწვეულია ევროპული გადახდების საბჭოს (EPC) განხილვების დღის წესრიგის გათვალისწინებით. თუ მიმდინარე წლის სექტემბრისათვის EPC-თვის სრულყოფილი აპლიკაციის წარდგენა ვერ მოხერხდა, პროცესი დროში საგრძნობლად გაჭიანურდება და შესაძლოა, ხელიდან იქნეს გაშვებული საქართველოს ამ სივრცეში გაწევრიანების პერსპექტივა. აღსანიშნავია, რომ გაწევრიანებასთან დაკავშირებული საკითხების დასაზუსტებლად ქართულმა მხარემ EPC-სთან შეხვედრები უკვე გამართა და ევროპული მხარე საქართველოს აპლიკაციის მოლოდინშია.

ბ) კანონპროექტის ფინანსური გავლენის შეფასება საშუალოვადიან პერიოდში (კანონპროექტის ამოქმედების წელი და შემდგომი 3 წელი):

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხარჯების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

საბიუჯეტო შემოსავლები გაჩნდება ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერად რეგისტრაციის მსურველი პირის მიერ გადასახდელი სარეგისტრაციო მოსაკრებლის სახით (საკანონმდებლო პაკეტში შემავალი „სარეგისტრაციო მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტის მიხედვით, ვირტუალური აქტივის მომსახურების სარეგისტრაციო მოსაკრებელი შეადგენს 10 000 ლარს, რომელიც მიიმართება სახელმწიფო ბიუჯეტში). გარდა ამისა, ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე გავლენას იქონიებს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ

ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერისათვის ფულადი ჯარიმის დაკისრების შემთხვევაში განსაზღვრული გადახდები, ვინაიდან, ფულადი ჯარიმის სახით დაკისრებული თანხები საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში მიიმართება. აღნიშნული შემოსავლების მოცულობის განსაზღვრა დამოკიდებული იქნება ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერად რეგისტრაციის მსურველთა რაოდენობაზე. ხოლო, რაც შეეხება ფულადი ჯარიმების კონკრეტულ ოდენობას, აღნიშნული სხვადასხვა დარღვევებისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის შესაბამისი სამართლებრივი აქტით, კანონის ამოქმედების შემდგომ განისაზღვრება და ფულადი ჯარიმის გამოყენება დამოკიდებული იქნება დარღვევის ხასიათსა და სიმძიმეზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ცვლილებებს.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები, კანონპროექტის გავლენით სახელმწიფოს ან მის სისტემაში არსებული უწყების მიერ მისაღები პირდაპირი ფინანსური ვალდებულებების (საშინაო ან საგარეო ვალდებულებები) მითითებით:

კანონპროექტი არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულების აღებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება, იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე გავლენის ბუნებისა და მიმართულების მითითებით, რომლებზედაც მოსალოდნელია კანონპროექტით განსაზღვრულ ქმედებებს ჰქონდეს პირდაპირი გავლენა:

კანონპროექტს ექნება პოზიტიური ფინანსური გავლენა ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერებზე და საფინანსო სექტორის იმ წარმომადგენლებზე, რომლებსაც მიენიჭებათ ვირტუალური აქტივის მომსახურების განხორციელების უფლება. რეგულირების სამართლებრივი ჩარჩოს შექმნით, სექტორში გაიზრდება გამჭვირვალობა, რაც ხელს შეუწყობს მის განვითარებას, მიმზიდველი და უსაფრთხო საინვესტიციო გარემოს შექმნას, რასაც თავის მხრივ პოზიტიური ზეგავლენა ექნება ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაზე. შედეგად, კანონპროექტს დადებითი ფინანსური გავლენა ექნება ვირტუალური აქტივის მომსახურების არსებულ და პოტენციურ მომხმარებლებზეც, ვინაიდან ისინი შეძლებენ ვირტუალური აქტივის ლეგალურად შენახვას და ტრანზაქციების განხორციელებას, რაც საშუალებას მისცემთ მიიღონ სარგებელი. კანონპროექტით საქართველოს ეროვნულ ბანკს ენიჭება უფლებამოსილება, „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონისა და საქართველოს ეროვნული ბანკის სამართლებრივი აქტების დარღვევისათვის ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერს და პროვაიდერის ადმინისტრატორს დააკისროს სანქცია (მათ შორის, ფულადი ჯარიმა) თავის მიერ დადგენილი წესით. შესაბამისად, ამ მხრივ კანონპროექტს ფინანსური გავლენა ექნება ვირტუალური აქტივის მომსახურების

პროვაიდერსა და მის მომავალ ადმინისტრატორებზე, თუმცა მოცულობა დამოკიდებული იქნება შემდგომში საქმიანობისას, ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერის მიერ ჩადენილი დარღვევების რაოდენობაზე, ხასიათსა და სიმძიმეზე.

კანონპროექტს ფინანსური გავლენა ექნება საქართველოს ეროვნულ ბანკზე, ვინაიდან ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერის ზედამხედველობისთვის საჭირო იქნება დამატებითი ადამიანური და ტექნიკური რესურსები: შესაბამისი კვალიფიკაციის ადამიანური რესურსის დასაქმება არსებული სამტატო ერთეულის ფარგლებში, არსებული ადამიანური რესურსის გადამზადება, ტექნიკური გადაწყვეტის დანერგვა, რომელიც უზრუნველყოფს ვირტუალური აქტივის მიკვლევადობას და საექვო/უჩვეულო გარიგებების გამოვლენას.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის (ფულადი შენატანის) ოდენობა შესაბამის ბიუჯეტში და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:

საკანონმდებლო პაკეტში შემავალი „სარეგისტრაციო მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტის მიხედვით, ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერის რეგისტრაციის მიღების მსურველი ვალდებული იქნება გადაიხადოს შესაბამისი სარეგისტრაციო მოსაკრებელი, რომელიც განისაზღვრება 10 000 ლარის ოდენობით და სახელმწიფო ბიუჯეტში მიიმართება. კანონპროექტით გათვალისწინებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ფულადი ჯარიმების დაკისრების შესაძლებლობა ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერისა და მისი ადმინისტრატორების მიმართ, შესაბამისი დარღვევების შემთხვევაში. ფულადი ჯარიმების კონკრეტული ოდენობა კი თითოეული დარღვევისათვის (მისი ხასიათისა და სიმძიმის გათვალისწინებით) განისაზღვრება საქართველოს ეროვნული ბანკის სამართლებრივი აქტით, კანონის ამოქმედების შემდგომ.

ბ1) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე კანონპროექტის ზეგავლენის შეფასება:

კანონპროექტი ზეგავლენას არ ახდენს ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის სამართალთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის სამართალს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან, აგრეთვე, ისეთი ხელშეკრულების/შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, რომელსაც უკავშირდება კანონპროექტის მომზადება, - მისი შესაბამისი მუხლი ან/და ნაწილი:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს. აგრეთვე, კანონპროექტი არ უკავშირდება რომელიმე ხელშეკრულებას/შეთანხმებას.

გ.დ) არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის ის სამართლებრივი აქტი, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირისა და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან:

ასეთი არ არსებობს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტი, სამუშაო ჯგუფი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებულ იქნა კონსულტაციები საერთაშორისო სავალუტო ფონდისგან (IMF) ტექნიკური დახმარების პროექტის ფარგლებში, ასევე, მიღებულ იქნა რეკომენდაციები ამერიკის შეერთებული შტატების სახაზინო დეპარტამენტისგან (U.S. Department of the Treasury).

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის/დაწესებულების, სამუშაო ჯგუფის, ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.გ) სხვა ქვეყნების გამოცდილება კანონპროექტის მსგავსი კანონების იმპლემენტაციის სფეროში, იმ გამოცდილების მიმოხილვა, რომელიც მაგალითად იქნა გამოყენებული კანონპროექტის მომზადებისას, ასეთი მიმოხილვის მომზადების შემთხვევაში:

ასეთი მიმოხილვა არ მომზადებულა.

ე) კანონპროექტის ავტორი:

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო და საქართველოს ეროვნული ბანკი.

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:

საქართველოს მთავრობა.